საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახეთის აჯანყება 1615

კახეთის აჯანყება 1615, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. ირანის შაჰის, აბას I-ის ლაშქრობათა შედეგად შევიწროებული კახეთის მოსახლეობა შესაფერის მომენტს ელოდა აჯანყების დასაწყებად. იმერეთში ლტოლვილმა თეიმურაზ I-მა სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით კავშირი შეკრა დას. საქართველოს მეფე-მთავრებთან. აჯანყება დააჩქარა ოსმალეთის არმიის დაძვრამ სპარსეთის საზღვრებისაკენ. აჯანყება 15 სექტემბერს, ალავერდობას დაიწყო. მას სათავე-ში ჩაუდგნენ ნოდარ ჯორჯაძე და დავით ჯანდიერი. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. კ. ა-ს მხარი აუბა შირვანმაც. აბას I-მა აჯანყების ჩასაქრობად 15-ათასიანი არმია გაგზავნა ალიყული-ხანის სარდლობით. ყიზილბაშების სარდლობასთან მყოფი ქართველები მტერს თეიმურაზ I-ის ლაშქრის გადაადგილების მიმართულებას უმალავდნენ, ხოლო სპარსელთა ჯარის გეგმას აჯანყებულებს ატყობინებდნენ. ამით ისარგებლა თეიმურაზ I-მა და 5–6 ათ. კაცით დაამარცხა მტრის ლაშქარი, რ-ის ერთი ნაწილი უბრძოლველად გაიქცა, მრავალი მათგანი მდ. მტკვარსა და არაგვში დაიხრჩო.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩი-შვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის *გამოც.*, თბ., 1969.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს ისტორია, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 3, თბ., 2012.